სანახაობათა ისტორიისათვის ძველ საქართველოში

ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სანახაობათა ისტორიისათვის ძველ საქართველოში“.

აკად. კ. კეკელიძემ თავის მოხსენებაში გაარკვია დღემდე უცნობი ხელნაწერის „სიბილაიანის“ მნიშვნელობა ძველი ქართული სანახაობრივი კულტურის ისტორიისათვის.

„სიბილაიანა“ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გადაწერილი ტექსტით არის მოღწეული. აკად. კ. კეკელიძის აზრით, იგი მე-17 ს-ის მეორე ნახევრის ორიგინალური ქართული პოემა უნდა იყოს. პოემის შესავალი ძველი ქართული პოეზიის ტრადიციული ფორმისაა. მისი ერთი პერსონაჟი ტარიელთან არის შედარებული, ერთი დიდებულთაგანი მირიანის სახელით არის გამოყვანილი, თანაც ამ პოემაში მერწყმულია ქრისტიანულ-დასავლური და აღმოსავლურ-მაჰმადიანური ტრადიციები, რაც მხოლოდ ქართულ ნიადაგზე ქართველი ავტორის მიერ შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ამასთან, მკვლევარის აზრით, პოემაში მოხსენებული ნიკიფორე, მოგვაგონებს ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ელჩობას რომის პაპთან.

პოემაში აღწერილია მიბლიური სოლომონ მეფესთან სამხრეთის დედოფლის სტუმრობა და ზეიმი. „ართობა-სანახაობა“ იწყება გამოცანით. მოიყვანენ ექვს ყმასა და ექვს ქალს, რომელნიც ყველაფრით ერთმანეთს ჰგვანან. გამოსაცნობია, რომელნი არიან ქალები და რომელნი ვაჟები. დედოფალი ბრძანებს გამოცანაში მონაწილე ექვს ყრმასა და ექვს ქალს პირი დაბანონ და ამით გამოცანასაც ამოხსნის.

აკადემიკოს კ. კეკელიძის აზრით, პოემის ეს ეპიზოდი მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ძველ ქართულ სანახაობაში გრიმის ხელოვნების შესახებ.

შემდეგ, მგალობელი ფრინველები მღერიან, ხოლო საზანდრები და მეჩანგეები უკრავენ მრავალგვარ საკრავებს. ამის შემდეგ იწყება ნიღბოსან მოთამაშეთა გამოსვლა. თექვსმეტი მოთამაშე შენიღბულია. ისინი წარმოადგენენ მხეცებსა და ცხოველებს: ლომს, ვეფხვს, მარტორქას, ნიანგს, ვეშაპს, დათუს, ჯიერანს, თევზს და სხვას. ცხოველთა ნიღბებით მოთამაშენი გამოხატავენ ურთიერთთან დამოკიდებულების სცენებს ამ სანახაობის დასასრულს მოთამაშეებს „ტყავი აღცარცვეს“. ამის შემდეგ იმართება მუშაითობა, მოთამაშე ქუსლთან ბეჭედს დაიდებს და წამწამით აიღებს. სანახაობა სიმღერა-საგალობლებით თავდება. მესაკრავეთა მწყობრის შემადგენლობაში ოდ. დასამი სხვადასხვა საკრავია, რომელთა შორის ექვსი დღემდე უცნობი უნდა იყოს. ძველ შემთხვევაში, ისინი მოხსენებულნი ა არიან ივანე ჯავახიშვილის შრომაში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“.

აკად. კ. კეკელიძის აზრით, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ძეგლის ცნობა ცხოველების ნიღბებში თამაშის შესახებ გვაქვს საკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც ხალხურ სანახაობაში დაცული ტრადიცია (ბერიკაობა), ლიტერატურული ძეგლით დასტურდება.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ალ. ბარამიძემ, დოც. დ. ჯანელიძემ და დოც. ტ. რუხაძემ. ალექსანდრ ბარამიძემ მართებულად ჩასთვალა მკვლევარის მოსაზრებანი აღნიშნული ძეგლის მე-17 საუკუნის მეორენახევრის ქართულ ორიგინალურ ძეგლად მიჩნევის შესახებ. დ. ჯანელიძემ აღნიშნა, რომ ქართული თეატრისა და სანახაობრივი კულტურის ისტორიისათვის კეკელიძის ახალ გამოკვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ქართულ სანახაობებში დაცული ძველი ტრადიციების დამადასტურებელი ცნობა ლიტერატურულ ძეგლშია აღმოჩენილი. ხოლო რომ ეს ძეგლი ნამდვილად ქართულია და ნამდვილად მე-17 საუკუნეს ეკუთვნის, ამაზე მიგვითითებს სანახაობათა წყობაც. პოემაში ასახული სავსებით ემთხვევა მე-17-18 საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებში აღწერილ სამეჯლისო სანახაობა-გასართობების წყობას. ტრ. რუხაძე სრულიად მართებულად ჩასთვალა პოემაში მოხსენებულ ნიკიფორეს ისტორიულ პიროვნებად მიჩნევა, რაც ძეგლის დათარიღებისათვის დიდად მნიშვნელოვანია.